

ჩვენი გიმნაზია

სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის და წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიის ყოველთვიური გაზეთი №2 თებერვალი 2017 წ.

გაზეთი გამოდის გიმნაზიის დირექტორის სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოს იეგუდიელის ლოცვა-კურთხევით.

2(15) თებერვალი

მირქმა (მიგებება) უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი



მირქმა უფლისა ქრისტიანული დღესასწაულია, მაგრამ VI საუკუნემდე იგი გამორჩეული ზეიმით არ აღინიშნებოდა. 528 წელს, იმპერატორ იუსტიანეს დროს, ანტიოქიას თავს დაატყდა საშინელი მიწისძვრა, რომელსაც მრავალი ადამიანი ემსხვერპლა. ამას ზედ დაერთო შავი ჭირის ეპიდემია. ყოველდღე რამდენიმე ათასი კაცი იხოცებოდა. ამ განსაცდელის ჟამს ერთ კეთილმსახურ ქრისტიანს ზეგარდმო ეუწყა, რომ მირქმის დღესასწაული უფრო საზეიმოდ აღენიშნათ და, როცა ამ დღეს ღამისთევის ლოცვები და ლიტანიობა აღასრულეს, ბიზანტიაში უბედურებათა წყება შეწყდა. ღვთისადმი მადლიერების ნიშნად 544 წელს ეკლესიამ განაჩინა, მირქმა (მიგებება) უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი აღენიშნათ უფრო საზეიმოდ.

6(19) თებერვალი

ღირსი არსენ იყალთოელი (†1127)

ღირსი მამა არსენ იყალთოელი XI-XII საუკუნეების ერთ-ერთი უდიდესი ქართველი მოღვაწე, მთარგმნელი, ენციკლოპედისტი, ჰიმნოგრაფი და ფილოსოფოსი იყო. დავით რექტორი წერს: „ესე არსენ იყო გვარად ვაჩნაძე, იბადის ძე, კაცი ბრძენი და მეცნიერი და ელინურისა ენისა ზედმიწევნილი. აქუნდა შკოლა იყალთოს მონასტერსა და იყო მოძღვარი სამეცნიერო დავით აღმაშენებლისა მეფისა“.

12(25) თებერვალი

დღესასწაული ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატისა

იმპერატორ თეოფილეს მეფობის დროს ბიზანტიის იმპერიაში ხატმებრძოლობის საშინელი ერესი მძვინვარებდა.

ნიკეის მახლობლად ცხოვრობდა ერთი კეთილმორწმუნე ქვრივი, რომელიც ფარულად ინახავდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატს. იმპერატორის გამოგზავნილმა მხედრებმა იპოვეს ეს ხატი. ერთ-ერთმა მათგანმა „მახვილი დასცა პირსა ხატისა“. მოხდა სასწაული, ნაიარევიდან სისხლმა იფეთქა. ქვრივი მთელი ღამე ლოცულობდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის წინ, დილით კი, ღვთის განგებით, მან ხატი ზღვასთან მიაბრძანა და ლოცვის შემდეგ წყალში ჩაუშვა. ხატი, ზღვის ტალღებზე აღმართული, დასავლეთისკენ გაემართა.

ერთხელ, მიმწუხრისას, ათენის ივერთა მონასტრის ბერებმა ზღვაზე ნათლის სვეტი იხილეს. წმიდა მთის მამებს ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გამოეცხადა და აუწყა, რომ მხოლოდ გაბრიელ ივერიელი იყო ღირსი წმიდა ხატის ზღვიდან გამობრძანებისა. ბერები გამოუთქმელი სიხარულით აღივსნენ, იქვე ააგეს პატარა ტაძარი და საკვირველმოქმედი ხატი შიგ დაასვენეს.

პორტაიტისას, ანუ ივერიის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის მადლით მრავალი სასწაული აღესრულება.

26(8) თებერვალი

წმინდა კეთილმსახური დავით IV, მეფე ყოვლისა საქართველოჲსა, აღმაშენებლად წოდებული (†1125)

ძნელბედობის ჟამს საქართველოს იმედად და პატრონად მოევლინა განსწავლული, ბრძნად-მეტყველი, ღვთისმოშიში, დავრდომილთა ხელისამპყრობელი, ქვრივ-ობოლთა

განმკითხავი, სამართლიანი მსაჯული, დაუმარცხებელი მეომარი, მახვილი მესიისა – წმ. დავით აღმაშენებელი.

საოცარი მწიგნობარი მეფე, სწორუპოვარი ჰიმნოგრაფიც იყო. მისი „გალობანი სინანულისანი“, თავისი ღრმა სულიერებით, უტოლდება ეკლესიის უდიდესი ჰიმნოგრაფების ნაწარმოებებს. დაკრძალულია გელათის მონასტრის შესასვლელში.

25 თებერვალი – საქართველოს ოკუპაციის დღე

25 თებერვალი საქართველოს ოკუპაციის დღეა. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან (1918 წ. 26 მაისი) სამ წელში, 1921 წელს, რუსეთის წითელი არმია ჩვენ ქვეყანაში 12 თებერვალს შემოიჭრა.

ქართული ჯარი მტერს თბილისის მისადგომებთან აღუდგა. იუნკრებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მტერს, მათი უმრავლესობა გმირულად დაიღუპა ბრძოლის ველზე. მათთან ერთად დაიღუპა მოხალისედ წასული, პოეტ კონსტანტინე მაყაშვილის 20 წლის ქალიშვილი მარო მაყაშვილი. ის ყუმბარის ნამსხვრევით სასიკვდილოდ დაიჭრა კეფაში. 23 თებერვალს ბრძოლები შეწყდა.

1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთის მე-11 არმია თბილისში შეიჭრა და საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა. ქვეყანამ სუვერენიტეტი დაკარგა.

გმირულად დაღუპული იუნკრები დიდი პატივით დაკრძალეს ეკლესიის ეზოში, იქ, სადაც ამჟამად საქართველოს პარლამენტის შენობა მდებარეობს. აღნიშნული ტაძარი კომუნისტებმა 1930 წელს დაანგრიეს.

ქართველებისთვის ამ მეტად მძიმე დროს უძღვნა პოეტმა კოლაუ ნადირაძემ ლექსი:

სად გმირთა სისხლით ნაპოხიერი,
თოვლს დაეფარა კრწანისის ველი, –
წითელი დროშით, მოღერილ ყელით,
თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით
შემოდიოდა სიკვდილი ცელით!
თოვდა და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი...

წელს პირველად საქართველოს პარლამენტის შენობაში გაიხსნა გამოფენა, რომელიც სრულად ასახავს ქართველი ხალხის თავგანწირვას. ქრონოლოგიურად არის ასახული ტაბახმელასა და კოჯორში დაღუპული გმირების ბიოგრაფიები და საქართველოს ოკუპაციის ეს საშინელი დღე.

მარიამ პაპიაშვილი

ეს დღე არ უნდა დაგვავიწყდეს ქართველებს

1921 წელს, სამი წლის თავისუფლების შემდეგ, რუსეთის საბჭოთა არმია კვლავ შემოესია საქართველოს. ქართველები გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ მოძალადეებს. 24 თებერვალს სრულიად შეწყდა ბრძოლები და 25 თებერვალს რუსეთმა საქართველო გამოაცხადა საბჭოთა შემადგენლობაში.

ეს მძიმე ისტორია ფართოდ შუქდება თანამედროვე ისტორიაში, მაგრამ რატომღაც დავიწყებას ეძლევა მეტად მნიშვნელოვანი ამბავი. რუსეთის ჯარი საქართველოში შემოვიდა აზერბაიჯანის მხრიდან. მანამდე კი რუსული ჯარი საქართველოს დაპყრობას შეეცადა დარიალიდან. ალბათ, დიდი მნიშვნელობა აქვს და მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ დარიალის სიმაგრეში ერთი მუჭა მოხევეების თავგანწირული ბრძოლის შედეგად რუსეთის მე-11 არმია გეგეჭკორის მეთაურობით უკან გაბრუნდა. ამ ბრძოლაში განსაკუთრებით გამოიკვეთა მოხევეების – მიხელა გომიაშვილის, როგორც ზარბაზნის (პულიმიოტის) მსროლელის, მისი დამხმარე ვასება შადურის, ნასყიდა ფიცხელაურისა და ვასა

ჩოფიკაშვილის როლი. იყო კიდევ ვინმე იმერელი, რომლის ღვაწლსაც მოხევეები არ ივიწყებენ. ამ ბრძოლაში მონაწილეობას იღებდნენ მოხევე ქალებიც. მათ მებრძოლებისთვის ციცაბო კლდეზე აჰქონდათ საჭმელი და წყალი (წყალი თურმე აუცილებელი იყო ზარბაზნის ლულაზე დასასხმელად, თუ არა სიცხისაგან ლულა გასკდებოდა).

25 თებერვალს გორში გაიხსნა ტაბახმელასა და კოჯორში დაღუპულ მებრძოლათა მემორიალური დაფა. ჩემი დიდი სურვილი იქნება, რომ დარიალშიც ასევე გაიხსნას მემორიალური დაფა დარიალის დამცველთა უკვდავსაყოფად.

ავთო ხულელიძე

ღონისძიება გიმნაზიაში

გიმნაზიის მოსწავლე-ახალგაზრდობა ხშირად ვხვდებით მოწმეც და მონაწილეც საინტერესო ღონისძიებებისა. ახლაც, 16 თებერვალს გიმნაზიის გემოვნებით მოწყობილ საკონცერტო დარბაზში კულტურის სახლის მუშაკების მიერ ჩატარებული იქნა ტიციან ტაბიძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

ტიციან ტაბიძის ლექსით „მე არ ვწერ ლექსებს“, ღონისძიება მხატვრული კითხვის ოსტატმა ხვიჩა არაბულმა გახსნა. ქეთინო გელაშვილმა, მანანა ფიცხელაურმა და სხვებმა მიმოიხილეს ტიციანის ბიოგრაფია და მისი მოგონებები. მოხევე პოეტმა მანანა გელაძემ მხატვრულად წაიკითხა ტიციან ტაბიძის რამდენიმე ლექსი. აღინიშნა ტიციან ტაბიძის განსაკუთრებული ღვაწლი იმ მხრივაც, რომ მან 1934 წელს საფუძველი ჩაუყარა ყაზბეგში მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაარსებას და სამი წლის განმავლობაში თავდაუზოგავად შრომობდა მისი ფონდის შექმნასა და გამდიდრებაზე.

ღონისძიებას საზეიმო ელფერს აძლევდა ყაზბეგის მუნიციპალიტეტთან არსებული კულტურის ცენტრის ანსამბლების „დიდებაი“-სა და „ერობაის“ მიერ შესრულებული სიმღერები (ხელმძღვანელი თამარ ხაიკაშვილი). მაყურებლის მოწონება დაიმსახურა გიმნაზიის მოსწავლეების VII-კლასელი ანა კაზალიკაშვილისა და IV-კლასელი ნიკა ბერიძის მიერ შესრულებულმა სიმღერებმა.

მაყურებელი ფეხზე ადგომით შეხვდა ანსამბლ „ერობაი“-ს მიერ შესრულებულ სიმღერას „მრავალჟამიერ“.

ღონისძიების ბოლოს მეუფე იეგუდიელმა მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებს, დალოცა ისინი და აღნიშნა, რომ ასეთი ღონისძიებების მოწყობას დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდობის ესთეტიკური და შემოქმედებითი აღზრდის საქმეში.

თამუნა ქუშაშვილი
VII კლასის მოსწავლე

გიმნაზიის გაზეთი

გაზეთი „ჩემი გიმნაზია“ მეუფის ლოცვა-კურთხევითა და ნებით უკვე სამი წელია რაც ფუნქციონირებს.

გაზეთის მიზანია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით – წლების, თვეების, დღეებისა და ზოგჯერ საათების მიხედვითაც ასახოს გიმნაზიის ყოფა-ცხოვრება. ამ მიზნით, გაზეთის ფურცლებზე შუქდებოდა და მიმდინარე წელსაც სისტემატურად ასახული იქნება ყველა ჩატარებული ღონისძიება, როგორც გიმნაზიის მრავალმხრივი ცხოვრების სარკე. ამ მიზნით, როგორც გიმნაზიის თანამშრომლები, ასევე მოსწავლე-ახალგაზრდობა ჩართული იქნება იმ მრავალმხრივ მუშაობაში, ცოცხალი ორგანიზმივით რომ ჩქეფს გიმნაზიის ყოფა-ცხოვრებასა და ყოველდღიურობაში.

გაზეთის მთავარი მიზანია, რომ გიმნაზია-პანსიონის მოსწავლეები შეაჩვიოს აზროვნებას, გამოუმუშაოს წერისა და

მოვლენების მხატვრულად გადმოცემის წეს-ჩვეულებები და კულტურა.

გაზეთის საშუალებით უკვე გამოვლინდა და მომავალშიც გამოვლენილი იქნება ნიჭიერი ბავშვები, რომელთაც შეუძლიათ კარგად ჩამოაყალიბონ თავისი მოსაზრება სხვადასხვა საკითხებზე, ჩასწვდნენ ცხოვრებისეულ საკითხებს.

გაზეთში, როგორც წამახალისებელ საშუალებაში, პერიოდულად კვლავ დაიბეჭდება მასალები, როგორც აკადემიურად წარმატებულ მოსწავლეებზე, ასევე სხვადასხვა ნიჭით დაჯილდოებულ ბავშვებზე (ხატვა, მუსიკა, ფოტოგრაფია, სპორტი, გალობა და სხვა).

გაზეთის პირველ გვერდზე დაიბეჭდება მოკლე წერილები მიმდინარე თვის რელიგიური დღესასწაულების შესახებ. ეს და გაზეთის სხვა მასალები საინტერესოა როგორც გიმნაზიის, ასევე რაიონის მოსახლეობისათვის.

მ. გომიაშვილი

ჩემი გიმნაზია



გიმნაზია მართლაც ჩემი გახდა. ძალიან მომწონს ეს ორი სიტყვა. გიმნაზიის გაზეთსაც ხომ „ჩემი გიმნაზია“ ჰქვია.

არც კი ვიცი, საიდან და როგორ დავიწყო, იმდენად დიდი და მრავალფეროვანია ეს თემა და ჩემი სიყვარული გიმნაზიისადმი.

გადმოვედი თბილისის საჯარო სკოლიდან და განათლებას ვიღებ წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიაში.

მინდა ვთქვა, რომ გიმნაზია სხვა სკოლებისგან განსხვავდება. განსხვავებულია მასწავლებლის დამოკიდებულება მოსწავლეებთან ურთიერთობაში. პედაგოგები ყურადღებით ეკიდებიან თითოეულ მოსწავლეს. კლასის დამრიგებელი ჩართულია მოსწავლის ყოველდღიურ საქმიანობაში. ჩემი დამრიგებელი ეკა სამქანაშვილი ნამდვილი ადამიანია და ყველაანირად ცდილობს მოსწავლეებიც ადამიანებად აღზარდოს. ის პროგრამული საგნების გარდა გვასწავლის ღვთის სიყვარულსა და შიშს, პატივისცემას, მიტევებასა და სიკეთეს, ვსაუბრობთ კულტურაზე, ქცევის წესებზე და ასე შემდეგ.

მიყვარს მეუფე იეგუდიელი და მამა ნიკოლოზი. ისინი მუდამ ზრუნავენ ჩვენს კეთილდღეობაზე.

მიყვარს სპორტი. ვჭიდაობ. ჩემი კლასელებისგან ვგრძნობ წახალისებასა და მხარდაჭერას. მაქვს წარმატებები. ქ. რუსთავში შეჯიბრებაზე ავიღე თასი, მაგრამ ეს არ მაკმაყოფილებს. უახლოეს მომავალში შეჯიბრში მივიღებ მონაწილეობას. მინდა წარმატებები მოვიპოვო და ვასახელო ჩემი გიმნაზია. შედეგეზე დავწერ გიმნაზიის გაზეთში.

გიორგი ხეთაგური. IV კლასის მოსწავლე

იაკობ გოგებაშვილი

პატარა წრუწუნა

სოროდან ფრთხილად გამოცანცალდა პატარა წრუწუნა ეზოში სასეირნოდ. ცოტა ხნის შემდეგ შეშინებული სოროში შევარდა.

– სად იყავი, რა ამბავია, რა დაგემართა? – ჰკითხა დედამ.

– სასეირნოდ ვიყავი.

– რამ შეგაშინა?

– ორი მხეცი ვნახე ეზოში. ერთი ძალიან საშიში უნდა იყოს. თავზე ხერხი ადგას, ფეხებზე დეზები ასხია, თვალები დაბღვერილი აქვს და ნისკარტი მოკაუჭებული. რომ დამინახა, პირი დააღო და ისე დაიყვირა, გული გამისკდა.

– ეგ ხომ მამალია, შვილო. მაგისი როგორ შეგეშინდა?

– მეორე კი ძალიან საყვარელი მხეცი უნდა იყოს. თავი მრგვალი აქვს, თვალები დიდი, ტანი ხშირი ბეწვითაა დაფარული, კუდი გრძელი და ფაფუკი. რომ დამინახა, ჩემსკენ გამოექანა, შემეშინდა და გამოვიქეცი.

– უი, ეგ ხომ კატაა, შვილო! ერიდე მაგას, თორემ ბევრ სხვა თაგვივით ვერც შენ გადაურჩები მაგის კლანჭებს და კბილებს.

თევზი

თევზსა ჰკითხეს: – შე საწყალო, რას გაჩუმებულხარ, რატომ არაფერს ამბობ, ქვეყანა შენ გმტრობს, გდევნის, გჭამს და შენისთანა უვნებელი სულიერი ქვეყანაზე არ მოიძებნებაო.

თევზმა უპასუხა:

– სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ პირი წყლით მაქვს სავსე.

ბუზი და ჭიანჭველა

ერთხელ ბუზმა ჰკითხა ჭიანჭველას: – რა არის, რომ მუდამ ასე დადიხარ და ხმას არ იღებ?

– რა ვქნა, ძმაო, ხომ ხედავ, ვმუშაობ... შენ რაღას აკეთებ?

– როგორ თუ რას ვაკეთებ? არ გესმის, რომ ვბზუი?

– ბზუილი კი მესმის, მაგრამ შენს გაკეთებულს ვერაფერს ვხედავო, – მიუგო ჭიანჭველამ.

მოიძია გიმნაზიის
V კლასის მოსწავლე
მეგი ფიცხელაურმა

რას გვეტყვით მამაო?

მიცვალებულთა შესახებ (გაგრძელება)

გარდაცვალებულის „ორმოცზე“ დავკალით ცხვარი, ვაპირებთ წლისთავზე დაკვლასაც. ამბობენ, რომ ახალ მიცვალებულზე საჭიროა აღდგომის ცხვრის დაკვლა. ასეა თუ არა? აღდგომას რომ დავკლათ ცხვარი, გამოგვივა წყვილი, ჩვენთვის კი ცნობილია, რომ მიცვალებულისათვის კენტი უნდა დაიკლას. როგორ მოვიქცეთ?

– თქვენ მიერ დასმულ საკითხებს არავითარი საერთო არა აქვთ მართლმადიდებელ ეკლესიასთან – არც წყვილი და არც კენტი ცხვრის დაკვლას არ ენიჭება მნიშვნელობა გარდაცვლილის სულის ცხონებისათვის (საერთოდაც, ქრისტიანულ ეკლესიაში სისხლიანი მსხვერპლი არ შეიწირება და მას მხოლოდ მოწყალების გაცემის სახე აქვს). თუ გსურთ, მიცვალებულს მიაგოთ სათანადო პატივი, მისი სულის მოსახსენებლად უნდა გადაიხადოთ პანაშვიდი, ილოცოთ მისი სულისათვის.

მიცვალებულს ზოგი მესამე, ზოგი მეშვიდე დღეს კრძალავს. არსებობს თუ არა ამ მიმართებით რაიმე კანონი?

– როგორც წესი, ქრისტიანები მესამე დღეს იკრძალებოდნენ მუდამ. მე-7 დღეს დაკრძალვა უფრო საერო ტრადიციაა.

ნათესავის გარდაცვალების შემდეგ ზოგი შავ თავსაბურავს ატარებს, ზოგი წვერს უშვებს. რამდენად აუცილებელია ასეთი საქციელი?

– ასეთი აუცილებლობა არ არსებობს. შეგიძლიათ სხვაგვარად გამოხატოთ თქვენი თანაგრძნობა – მოწყალების გაცემით მიცვალებულის სახელზე, ლოცვებით, პანაშვიდის გადახდით – გლოვის გარეგნული გამოხატულება არ უკავშირდება მის სულზე ზრუნვას. თუმცა, თავისთავად გარეგნული გამოხატვის მიმართ არაფერი აქვს ეკლესიას საწინააღმდეგო.

ამბობენ, როდესაც ადამიანი კვდება, სული ამოსდისო. საინტერესოა, სხეულის რომელ ნაწილშია სული?

– სულის გარეშე სხეული არ არსებობს – უიმისოდ იგი დაიშლებოდა. სული მსჭვალავს მთელ ორგანიზმს, მაგრამ თავისი ქმედებით, უპირველესად, თავს ავლენს გულითა და გონებით. სულს აქვს სხეულის მსგავსი იერსახე და ამიტომაც იმიერ ქვეყნად სულები ერთმანეთს იცნობენ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

იბეჭდება 2005 წლის „კვირის პალიტრის“ მიერ გამოცემული „რას გვეტყვით, მამაო“ კითხვების კრებულიდან



1. ხევში გავრცელებული გვარი;
2. მთა ხევში;
3. მთისთვის დამახასიათებელი სტიქია;
4. ხევის ერთ-ერთი მდინარე;
5. ხევის უძველესი სოფელი;
6. ხევში გავრცელებული რელიგიური დღესასწაული;
7. ხევში გავრცელებული ცხოველი.

გიორგი ბუჩუკური. IX კლასი

რედაქტორი მანონი გომიაშვილი	სარედაქციო კოლეგია: არქიმანდრიტი ნიკოლოზ ღლონტი, ციცინო ღუდუშაური, ნინო თურქიაშვილი, მარიამ წიკლაური, თემო გუჩუკური.	მის. სტეფანწმინდის წმ. ილია მართლის სახ. გიმნაზია– პანსიონი